# სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურებების შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

## ო ქ მ ი №2

ქ. თბილისი

22 მარტი 2012 წელი

12 : 00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ: ზურაბ ბეჟანიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

დავით აშორდია - კომისიის წევრი.

მიხეილ ჩაჩუა - კომისიის წევრი.

თენგიზ ნასარიძე - კომისიის წევრი.

მაკა შუბლაძე - კომისიის წევრი.

გერონტი ფრუიძე - კომისიის აპარატის წევრი.

აბესალომ არჩემაშვილი - კომისიის აპარატის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა თორნიკე მგალობლიშვილი – მივლინებაში ყოფნის გამო.

## დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი :

- №362 კონკურსში, რეგიონალური ოფისებისათვის განკუთვნილი სტანდარტული პროექტის გადაკეთებისათვის საჭირო არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხილვა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ბეჟანიშვილმა კომისიას მოახსენა, რომ სხდომას მდივნობას გაუწევს აპარატის წევრი გერონტი ფრუიძე.

აპარატის წევრმა გერონტი ფრუიძემ კომისიას მოახსენა, რომ აღნიშნული დროისთვის წინადადება (დალუქული კონვერტით) წარადგინა მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა – შპს „ჯეოკონსტრა"-მ

კონკურსანტმა წინადადებით წარმოადგინა:

- საკონკურსო წინადადების ფასი - 7,999 ლარი (დღგ-ს გარეშე).
- ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ (არქიტექტურული პროექტის ესკიზები და ფოტომასალა).
- მომსახურების მიწოდების ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღე.

- რეკვიზიტები.
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება, რომ კონკურსანტის ქონებაზე არ არის რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა და იგი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;

წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვისას დადგინდა წინადადების სრული შესაბამისობა შემსყიდველის მოთხოვნებთან.

საკონკურსო კომისიის წევრების მიერ შეფასების კრიტერიუმებისა და მათი პრიორიტეტულობის კოეფიციენტების (*საკონკურსო წინადადების ფასი_0.7; მიწოდების ვადა_0.3*) საშუალებით დაჯამებული ქულების შედეგად გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ჯეოკონსტრა".

დაადგინეს:

სატენდერო კომისიის აპარატს დაევალოს :

- შპს „ჯეოკონსტრა"-სათვის შეტყობინების გაგზავნის უზრუნველყოფა ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირის მოსავლინებლად არაუგვიანეს 2012 წლის 27 მარტისა.
- წარმოდგენილი წინადადების, წინამდებარე ოქმისა და გამარჯვებული კონკურსანტისთვის გასაგზავნი წერილის კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის გადაგზავნა ელექტრონული ფოსტის მისამართზე - contest@procurement.gov.ge, არაუგვიანეს 2012 წლის 22 მარტისა.

კომისიის თავმჯდომარე — ზურაბ ბექანიშვილი

კომისიის წევრები: — დავით აშორდია

მიხეილ ჩაჩუა

თენგიზ ნასარიძე

მაკა შუბლაძე

აპარატის წევრები: — გერონტი ფრუიძე

აბესალომ არჩემაშვილი

## ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ 2012 წლის 13 მარტს გამოცხადებული, **#362** კონკურსის საშუალებით რეგიონალური ოფისებისათვის განკუთვნილი სტანდარტული პროექტის გადაკეთებისათვის საჭირო არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

კომისიის თავმჯდომარე — ზურაბ ბექანიშვილი

კომისიის წევრები: — დავით აშორდია

მიხეილ ჩაჩუა

თენგიზ ნასარიძე

მაკა შუბლაძე

აპარატის წევრები: — გერონტი ფრუიძე

აბესალომ არჩემაშვილი

22.03.2012